მომენტალური გადარიცხვის ფუნქციონალი

ფუნქციონალის შესახებ:

ფუნქციონალი იქნება ხელმისაწვდომი ყველა თიბისის მობაილბანკის მომხმარებლისთვის მაისიდან. თუმცა, სფეისის მიგრაციასთან ერთად, 20 აპრილიდან ეს ფუნქციონალი მხოლოდ სფეისელებს გამოუჩნდებათ თიბისის მობაილბანკში.

პროდუქტის ზოგადი აღწერა:

მომენტალური გადარიცხვის ტექნოლოგია საშუალებას გვაძლევს მობაილბანკიდან გადარიცხვის/გადმორიცხვის შესაძლებლობას ნებისმიერი დროის მონაკვეთში, ნებისმიერი ბანკის ბარათით, მომენტალური ასახვით. ფუნქციონალი არის მხოლოდ პირად ანგარიშებს შორის გადასარიცხად, რაც იმას მოიაზრებს, რომ მომხმარებელი მხოლოდ საკუთარ სხვა ბანკის ბარათებზე გადარიცხავს (სხვის ბარათებზე გადარიცხვა შეზღუდულია) .

გადარიცხვა შესაძლებელია:

1. თიბისიდან სხვა ბანკის ბარათზე
2. სხვა ბანკის ბარათიდან თიბისიზე
3. თიბისიდან თიბისიზე (საკომისიოს გარეშე)
4. სხვა ბანკის ბარათიდან სხვა ბანკის ბარათზე
5. ციფრული საფულიდან თიბისის ბარათზე (ეს სერვისი მოგვიანებით გააქტიურდება და დაემატება, თავიდან არ იქნება ხელმისაწვდომი).

გადასარიცხად სხვა ბანკის ბარათზე:

სხვა ბანკის ბარათი უნდა დაამატოს მომხმარებელმა:

1. გადარიცხვის პროცესში “ახალი ბარათის დამატება”-ს უნდა დააჭიროს და გაყვეს პროცესს
2. ან პარამეტრებიდან დააჭიროს “ჩემი ანგარიშების მართვას” და + ღილაკით დაამატოს სხვა ბანკის ბარათი
3. მხოლოდ სხვა ბანკის ბარათის დამატება ხდება, თიბისის ბარათის დამატება არ არის შესაძლებელი, რადგან თიბისის კუთვნილი ბარათები ისედაც ჩანს მობაილბანკში.

გასათვალისწინებელი შეზღუდვები:

1. თანხა ირიცხება მხოლოდ ლარში
2. თანხა ირიცხება საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ბანკის ბარათებზე
3. ერთჯერადად გადარიცხვის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს
4. გადარიცხვა ხდება მხოლოდ საკუთარ ანგარიშებს შორის და არა სხვის ბარათიდან ან ბარათზე
5. აპლიკაცია უნდა იყოს განახლებული ვერსია 7.6.2 ან მეტით IOS-ზე, და 7.6.4 ანდროირდზე, ხოლო მობილური მოწყობილობის ოპერაციული სისტემა განახლებული უნდა იყოს მინიმუმ Android 6.0 , ხოლო iOS 15.1 ვერსიამდე.
6. საკომისიო თითო ტრანზაქციაზე არის 1 ლარი
7. ბარათი რომლიდანაც რიცხავ სხვა ბანკში უნდა იყოს სადებეტო. სხვა ტიპის ბარათიდან, მაგალითად საკრედიტო და დეპოზიტიდან არ ირიხცება.
8. სხვა ბანკის ბარათიდან თუ გადმოგაქვს თანხა თიბისის ბარათზე, მაგ შემთხვევაში საკრედიტო, სადებეტო და სადეპოზიტო ბარათიდანაც შეგიძლია თანხის გადმორიცხვა.
9. ბარათი უნდა იყოს ან VISA ან MASTERCARD.
10. ბარათზე რომელზეც რიცხავ, არ არის შეზღუდვა, ნებსმიერი ტიპის ბარათზე ირიცხება.

FAQ

ვის შეუძლია ამ ფუნქციონალით სარგებლობა?

ყველა თიბისის მომხმარებელს შეეძლება ამ ფუნქციონალით სარგებლობა თუ კი მობაილბანკში არის დარეგისტრირებული.

არის თუ არა მომენტალურ გადარიცხვაზე საკომისიო?

საკომისიო არის ფიქსირებული 1 ლარი ყველა ტრანზაქციაზე.

რომელი აპლიკაციიდან არის შესაძლებელი რომ მომენტალურად გადავრიცხო სხვა ბანკის ბარათებს შორის?

თიბისის მობაილბანკიდან.

რა შემთხვევაში დაჯდება თანხა მომენტალურად სხვა ბანკში გადარიცხვისას?

გადარიცხვა აუცილებლად უნდა შეასრულო “საკუთარ ანგარიშზე” ღილაკის გამოყენებით, რომ თანხა აისახოს მომენტალურად.

რა დროს შემიძლია რომ გავაკეთო სხვა ბანკის ანგარიშებს შორის გადარიცხვა, ისე რომ თანხა აისახოს მომენტალურად?

თანხის გადარიცხვა ან გადმორიცხვა ნებისმიერი საქართველოში არსებული ბანკის ბარათიდან შესაძლებელია 24/7-ზე. თანხა აისახება მომენტალურად.

შესაძლებელია თუ არა გადარიცხვა დაბლოკილი ბარათით?

დაბლოკილი ბარათით გადარიცხვა შეუძლებელია. თუ დაბლოკილი ბარათი არის თიბისის ბარათი, შეგიძლია მობაილბანკიდან ბლოკი მოხსნა და შემდეგ გამოიყენო.

რა ტიპის ბარათის დამატება არის შესაძლებელი?

ნებისმიერი ქართული Visa და MasterCard ბარათების.

შემიძლია თუ არა თიბისის საკრედიტო ბარათიდან თანხის გადარიცხვა

არა, არ არის შესაძლებელი, მხოლოდ სადებეტო ბარათიდან შეგიძლია თანხის გადარიცხვა.

შემიძლია თუ არა თიბისის ანაბრიდან თანხის გადატანა?

არა, არ არის შესაძლებელი, მხოლოდ სადებეტო ბარათების გამოყენება შეგიძლია

შემიძლია თუ არა გადავრიცხო თანხა უცხოურ ვალუტაში?

გადარიცხვა ხორციელდება მხოლოდ ლარის ვალუტაში.

როგორ უნდა გადავრიცხო თანხა, სხვა ბანკის ბარათზე Apple ან Google pay-ს გამოყენებით?

იმისთვის რომ თანხა გადარიცხო.გადმორიცხო Google ან apple pay-თ, აუცილებელია რომ ბარათი დამატებული გქონდეს შენს ციფრულ საფულეში. თანხის გადასარიცხად ან გადმოსარიცხად ანგარიშის არჩევის ველში მონიშნე ბარათი საფულიდან, მიჰყევი პროცესს და დაადასტურე.

როგორ დავამატო ბარათი ციფრულ საფულეში?

შედი მობაილბანკში, მთავარი გვერდიდან არიჩიე ბარათი რომლის დამატებაც გინდა და დააჭირე ღილაკს "საფულეში დამატება", მიყევი პროცესს და დაადასტურე. თუ ამ ღილაკს არ გიგდებს, ესეიგი ბარათი უკვე დამატებული გაქვს შენს საფულეში. სხვა ბანკის ბარათის შემთხვევაში, გამოიყენე "+" ღიალაკი Apple Wallet/Google Wallet-ის აპლიკაციებში, შეიყვანე ბარათის მონაცემები და ერთჯერადი უსაფრთხოების კოდი და დაადასტურე

შემიძლია თუ არა რომ გადავრიცხო თანხა მომენტალურად უცხოური ბანკის ბარათზე?

არა, თანხა მომენტალურად მხოლოდ საქართველოში მოქმედი ბანკის ბარათებზე ირიცხება.

თითო ტრანზაქციის შემთხვევაში მაქსიმუმ რამდენი ლარი შემიძლია გადავრიცხო?

თითო ტრანზაქციის ლიმიტი 1000 ლარია

როგორ დავამატო სხვა ბანკის ბარათი თიბისის მობაილბანკში?

იმისთვის რომ სხვა ბანკის ბარათი დაამატო მობაილბანკში, არსებობს ორი გზა:

1. შეგიძლია დაიწყო გადარიცხვა და ანგარიშის არჩევის ველში მონიშნო „ახალი ბარათის დამატება“, სადაც შეიყვან ბარათის დეტალებს, გაივლი sms ავტორიზაციას და დაამატებ.
2. შეგიძლია პარამეტრებიდან შეხვიდე „ჩემი ანგარიშების მართვა“-ში და + ღილაკით დაამატო ახალი ბარათი. უბრალოდ შეიყვანე ბარათის დეტალები და დაადასტურე.

როგორ ამოვშალო სხვა ბანკის ბარათი თიბისის მობაილბანკში?

თუ კი გაქვს ისეთი ბარათი, რომელსაც აღარ იყენებ შეგიძლია შეხვიდე „ჩემი ანგარიშების მართვა“-ში პარამეტრებიდან და დააჭირო ნაგვის ურნის ღილაკს კონკრეტულ ბარათზე. შემდეგ უბრალოდ დაადასტურე დავალება და ბარათი წაიშლება.

როგორ დავმალო ისეთი თიბისის ბარათი რომელსაც ხშირად არ ვიყენებ?

იმისთვის რომ ბარათი დამალო, პარამეტრებიდან დააჭირე „ჩემი ანგარიშების მართვა“-ს და დააჭირე ჩართვა/გამორთვის ღილაკს. თუ გინდა, რომ ბარათი გიამდეს აპლიკაციის მთავარ გვერდზე, ღილაკი უნდა იყოს მწვანედ ანთებული. თუ გინდა რომ დაიმალოს, ღილაკი უნდა იყოს გათიშული ანუ ნაცრისფერი.

მომენტალური გადარიცხვის შესასრულებლად სავალდებულოა თუ არა რომ თიბისის ბარათიდან ან ბარათზე რიცხავდე?

არა, თანხა შეგიძლია გადარიცხო/გადმორიცხო სხვადასხვა ბანკის ბარათებს შორის, გადარიხვისას აირჩიე სხვა ბანკის ბარათი რომლიდანაც რიცხავ და სხვა ბანკის ბარათი რომელზეც გინდა გადარიცხო.

შემიძლია თუ არა სხვის ბარათზე თანხის გადარიცხვა?

არა, მხოლოდ საკუთარ ბარათზე შეგიძლია გადარიხცო თანხა, ისე რომ მომენტალურად გამოიყენო.

სხვა ბანკის ბარათი არ ვიცი სად მაქვს და ვერ ვამატებ მობაილბანკში, როგორ გადმოვიტანო თანხა?

ბარათი თუ გაქვს შენს ციფრულ საფულეში დამატებული, გადარიცხვისას აირჩიე “ბარათი საფულიდან” და მიყევი პროცესს.

როგორ დავრწმუნდე რომ გადარიცხვის პროცესი შესრულდა?

პროცესს როცა გაიყვან ბოლოში, მწვანე ღილაკი მიგანიშნებს, რომ თანხა გადარიცხულია და შეგიძლია უკვე იმ ბარათით მომენტალურად ისარგებლო.

როგორ დავრწმუნდე რომ პროცესი უსაფრთხოა?

იმისთვის რომ დავიცვათ შენი უსაფრთხოება, გადარიცხვის პროცეში დანერგილია 3D უსაფრთოხება ბარათის დამატებისას. იმისთვის რომ ბარათი დაამატო ან შეასრულო ტრანზაქცია, ერთჯერადი sms კოდი მოგივა, და ამ კოდით დაადასტურებ გადარიცხვას. თუ ბარათი გაქვს უკვე დამატებული, პროცესში არის ჩაშენებული

სტანდარტული უსაფრთოხების მიდგომები რასაც ასევე ყველა სხვა პროცესშიც ნახავ: face id, touch id, digipass და sms)

რამდენი ბარათის დამატება შემიძლია?

სხვა ბანკის ბარათების დამატება ულიმიტოდ შეგიძლია.

დღეში რამდენჯერ შემიძლია გადავრიცხო სხვა ბანკის ბარათზე, ან ბარათებს შორის?

ულიმიტოდ.

მჭირდება თუ არა ინტერნეტი იმისთვის რომ თანხა გადავრიცხო?

კი, აუცილებელია გქონდეს ინტენნეტ კავშირი, მაგრამ თუ მეგაბაიტები გაგითავდა, მობაილბანკში უფასოდ შეხვალ მაინც და ისარგებლებ სერვისით.

არ მიჩანს 24/7-ზე გადარიცხვის ღილაკი, როგორ გადავრიცხო ამ შემთხვევაში მომენტალურად?

იმისთვის რომ მომენტალურად გადარიცხო სხვა ბანკის ბარათზე ან ანგარიშებს შორის, უნდა გქონდეს აპლიკაციის განახლებული ვერისა 7.6.2 ან მეტით ios-ზე, და 7.6.4 ანდროიდზე. ხოლო მობილური მოწყობილობის ოპერაციული სისტემა განახლებული უნდა იყოს მინიმუმ Android 6.0 , ხოლო iOS 15.1 ვერსიამდე.

*ამ ვერსიებში გაუაქტიურდებათ ფუნქციონალი მომხმარებლებს, ვინც სფეისიდან დამიგრირდა. ყველა მობაილბანკის კლიენტს გამოუჩნდება ვერსია 7.8-ში.